ANTON PURTSELADZE AND THE ISSUE OF THE GEORGIAN HISTORY

ანტონ ფურცელაძე და საქართველოს ისტორიის საკითხები

TAMAR GOGOLADZE
Doctor of Philology,
Professor of Gori State University,
53 Chavchavadze St., 1400, Gori, Georgia
+995577251272, tamilagogoladze@gmail.com
https://orcid.org/0000-0003-0450-2924

KETEVAN BARBAKADZE
Doctor of Pedagogical Sciences
Associated Professor of Gori State University,
53 Chavchavadze St. 1400, Gori, Georgia
+995577151211, qbarbakadze@gmail.com
https://orcid.org/0000-0002-8706-2102

Abstract. The 19th century witnessed new developments and improvements in the principles of research methodology across various sciences. This also influenced the study of historical disciplines. Rooted in the cosmopolitanism of Romanticism, the idea was established that the past should be thoroughly examined in relation to understanding the present and the future, a notion that was also reflected in the views and publications of the Georgian Tergdaleulebi and the progressive intelligentsia. The writer Anton Purtseladze (1839–1913) closely followed the issues related to the study and research of science and culture, was well acquainted with the methodological problems of historical science in Europe, and sought to analyze questions of Georgian history from this perspective, which was particularly evident in his journalistic works ("David Aslanishvili-Jandieri", "Iakub Khan and Barataani", "The Struggle for the Destruction and Unification of Georgia, or Giorgi Saakadze and His Time", "History of Georgia from Ancient Times to the End of the 10th Century – Works by D. Bakradze").

This article focuses on Anton Purtseladze's review of D. Bakradze's historical work, in which he was among the first to raise the question of how history should be written and according to what principles..

Keywords:. Historical Sciences, Methodology, D. Bakradze.

თამარ გოგოლაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., № 53, 1400, საქართველო,
+995577251272, tamilagogoladze@gmail.com
https://orcid.org/0000-0003-0450-2924

ქეთევან ბარბაქაძე
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., № 53, 1400, საქართველო,
+995 577151211, qbarbakadze@gmail.com
https://orcid.org/0000-0002-8706-2102

აბსტრაქტი. XIX საუკუნეში სიახლე წარმოჩინდა სხვადასხვა მეცნიერებების კვლევის მეთოდოლოგიის პრინციპების შემუშავებასა და სრულყოფაში. ეს შეეხო ისტორიული მეცნიერებების კვლევასაც. რომანტიზმის მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, მკვიდრდება ის აზრი, რომ წარსული უნდა ღრმად იქნას შესწავლილი აწმყოსა და მომავლის გააზრებასთან კავშირში, რაც ქართველი თერგდალეულებისა და მოწინავე ინტელიგენციის შეხედულებებსა და პუბლიკაციებშიც გამოვლინდა. მწერალი ანტონ ფურცელაძე (1839-1913) გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს მეცნიერებისა თუ კულტურის შესწავლისა და კვლევის საკითხებს, საფუძვლიანად ეცნობა ევროპაში ისტორიული მეცნიერების მეთოდოლოგიის პრობლემებს და ცდილობს ამ კუთხით გაანალიზოს საქართველოს ისტორიის საკითხებიც, რაც განსაკუთრებით გამოიკვეთა მის პუბლიცისტიკაში („დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი", „იაყუბ ყეენი და ბარათაანი", „ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესაერთებლად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო", „ისტორია საქართველოსი უძველესი დროიდან X საუკუნის დასასრულამდის - თხზ. დ. ბაქრაძისა").

წინამდებარე სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება ანტონ ფურცელაძის რეცენზიასა დ. ბაქრაძის ისტორიულ ნაშრომზე, რომელშიც მან, ერთ-ერთმა პირველმა, წამოაყენა საკითხი, თუ როგორ და რა პრინციპებით უნდა იწერებოდეს ისტორია.

საკვანძო სიტყვები: ისტორიული მეცნიერებები, მეთოდოლოგია, დ. ბაქრაძე.

შესავალი. XIX საუკუნე მსოფლიო ისტორიაში დიდი გარდაქმნების ეპოქად შევიდა: ჩამოყალიბდა და განვითარდა სხვადასხვა მეცნიერებათა კვლევის მეთოდოლოგია, რომანტიზმის პერიოდიდან შემორჩა წარსულის დაკვირვები და შესწავლის აუცილებლობა. მკვლევართა აზრით, შემდგომ პოზიტივიზმის გაბატონებამ სხვადასხვა მეცნიერებაში განსაზღვრა ერთგვარად ფაქტოგრაფიის წინ წამოწევა ისტორიული მეცნიერებების კვლევის მეთოდოლოგიაში. განვითარდა წყაროების საგუძვლიანი შესწავლის შედარებით კონტექსტში კვლევის მეთოდები. ფაქტების შეგროვების შემდეგ ისტორიკოსნი რწმუნდებოდნენ, რომ ისინი ობიექტურ წარმოდგენას იძლეოდნენ მასალაში აღწერილი მოვლენების შესახებ. როგორც ქ. ნადირაძე შენიშნავს, „მათთვის

ისტორიული მეთოდი წყაროთა ანალიზის სინონიმს წარმოადგენდა, ამავე დროს, სჯეროდათ პროფესიონალი ისტორიკოსის მიუკერძოებლობა'' (ნადირაძე, 2012: 80).

ევროპაში ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიის დამკვიდრების მცდელობა დაკავშირებულია XIX საუკუნის მეორე ნახევართან. როგორც ისტორიოგრაფიის მკვლევარი ქეთევან ნადირაძე აღნიშნავს, ,,ი. დროიზერმა და ე. ბრენჰაიმმა მოგვცეს ისტორიული კვლევის მეთოდების კლასიკური დაყოფა: 1. ევრისტიკა (წყაროების კვლევა); 2. კრიტიკა და განმარტება (ფაქტების მნიშვნელობის განსაზღვრა და მათ შორის კავშირი); 3. გადმოცემა ანუ ისტორიული რეკონსტრუქცია (ნადირაძე, 2012: 81).

საქართველოში ისტორიოგრაფიის განვითარება დაუკავშირდა ქართველოლოგიური სკოლის ჩამოყალიბებას საზღვარგარეთ და ,,თერგდალეულთა'' იდეური მსოფლმხედველობის გაშლას პრესის ფურცლებსა თუ გამოცემებში ,,რამდენადაც ხალხის გათვითცნობიერებას დიდად უწყობდა ხელს საკუთარი ისტორიის შესწავლა-შეფასება. ილია ჭავჭავაძის აზრით (,,აი ისტორია''), ერის ისტორიის შესწავლით შეუძლებელია არა მხოლოდ მოცემული ერის წარსულის ან აწმყოს შემეცნება, არამედ მომავლის გათვალისწინებაც'' (ნადირაძე, 2012: 82).

ქართული მოწინავე რეალისტური მწერლობაც ინტერესდება ისტორიის საკითხებით (ი. გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი და სხვ.). მათ შორისაა მწერალი, პუბლიცისტი ანტონ ფურცელაძეც (1839-1913) ანტონს სპეციალური საუნივერსიტეტო განათლება არ მიუღია, მაგრამ ფლობდა სხვადასხვა პროფესიებს: მასწავლებლობდა, ადვოკატობდა, გამომცემლადაც უმუშავია, იყო სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარეც. განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა სოციალურ პრობლემებს, გატაცებული იყო ხალხოსნური იდეებით და წერდა პუბლიკაციებს სხვადასხვა საჭირბოროტო პრობლემებზე. მის სამწერლო მოღვაწეობაში აღინიშნება ისტორიული თემატიკისადმი მიძღვნილი მოთხრობები, ესკიზები, ლექსები თუ პოემები (,,თამარ ღაზნელი'', ,,მარაბდა'', ,,ცხრა ძმა'', ,,წყალობა''). ანტონ ფურცელაძემ, საკმაოდ საფუძვლიანად შეისწავლა რა სამეგრელოს ისტორია, შექმნა რომანი ,,მაცი ხვიტია'', რომელიც ეხება XVI-XVII საუკუნეებში სამთავროთა შუღლს. ტყვეებით ვაჭრობას. დაინტერესებული იყო გიორგი სააკაძის პიროვნებით (,,გიორგი სააკაძე და მისი დრო'', ,,დიდი მოურავი''). საყურადღებოა მისი ისტორიული მოთხრობა ,,დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი'', ,,იაყუბ ყეენი და ბარათაანი'' - ისტორიული ესკიზი (მე - XV საუკუნე).

ჩვენი სტატიის ცენტრში კი მოხვდა ანტონ ფურცელაძის რეცენზია დ. ბაქრაძის ნაშრომზე ,,საქართველოს ისტორია'' (უძველესი დროიდამ მე-X საუკ. დასასრულამდის), რომელიც დაიბეჭდა ,,თეატრის'' 1890 წლის #3. საქართველოს ისტორიის საკითხების კვლევაში ანტონ ფურცელაძის წვლილი ნაკლებადაა შესწავლილი მხოლოდ ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის, მზიური ჩხიკვაძის, სადისერტაციო ნაშრომში, რომელიც ანტონ ფურცელაძის პუბლიცისტიკას ეხება (2006), აღნიშნულია, რომ ,,ჩვენი სახელმწიფოს წარსული, გმირ წინაპართა თავდადება ბავშვობიდანვე ჰკვებავდა ანტონ ფურცელაძის ფანტაზიას წარსული ბრძოლების ეპიზოდების გახსენებას, იმ ბრძოლისას, რომელიც მიზნად ისახავდა ეროვნული მეობის შენარჩუნებას'' (ჩხიკვაძე, 2006: 12). მკვლევარს აქვე მოჰყავს ამონარიდი ,,იმედში'' გამოქვეყნებული წერილიდან (,,რამდენიმე სიტყვა ,,ივერიის'' მაისის ,,შინაურ მიმოხილვაზედ'', ჟ ..იმედი'' #78, გვ. 79): ,,უკეთუ ხალხს უჩვენებთ პოეზიაში ან ისტორიაში ვისმე მხნე პირთა, ქვეყნისა და თვისი ხალხის სიმართლისათვის მომქმედთ და თავგანწირულთ, ამისთვის კი არა, რომ წარსული გაუხადოთ ხალხს სანატრელად, მხოლოდ იმისთვის, რომ ამ პირების მაგალითი აღვიძებდეს ხალხის მხნეობას და აძლევდეს ძალას, რომ გასწიოს ბრძოლა წარსულზედ უკეთესი მომავლის დასამყარებლათ'' (ჩხიკვაძე, 2006: 11). ეს ამონარიდია წერილიდან, რომელიც ,,ივერიის'' რედაქციამ არ დაბეჭდა მაგრამ ხალხოსნური მიმართულების ჟურნალ ,,იმედის''1882 წლის მე-7 და მერვე ნომრებში გამოაქვეყნა ანტონ ფურცელაძემ. იმ

საკითხების გარდა, რომელიც ეხებოდა ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის გზების ძიებას, ავტორი ხალხოსნურ მოძრაობასაც ახსენებდა. ჩვენი ვარაუდით, ,,ივერიის'' სიფრთხილემ განაპირობა ამ შენიშვნის არდაბეჭდვა, რამეთუ ა. ფურცელაძის ,,პროგრამის'' გარდა გამოკვეთილად იყო ნათქვამი, რომ ხალხის გამარჯვებისათვის სწრაფვა უნდა იყოსო პრესის მიზანიც, ,,რადგან ულიტერატურობა, უენოთ, უსასწავლებლოთ თავის ენაზედ, თავის უცნობლად ხალხი ვერ იხალხოსნებს და არც უწერია წინ წასვლაო'' (ფურცელაძე, 2000: 382). ა. ფურცელაძე აქ მარტო წარსულის გაცოცხლებას არ მიიჩნევს ძირითად ამოცანად, არამედ ხალხის გარდა გამოჩენილ პიროვნებათა ღირსეულ სახეებს თუ გავიხსენებთ, ეს გმირები: გარიბალდი, რომლის ბადალს ვერას წარმოგვიდგენს ძველი ისტორია, ავიღოთ დელელუზი, ვერმორელი, დომბროვსკი, მილლიერი და სხვ მრავალნი გმირნი, ამ ბოლონდელს ფრანცუზების მოძრაობის დროს თავდადებულნი კაცობრიობის საბოლოოვოსთვის'' (ფურცელაძე, 2000:380). მაგრამ ა. ფურცელაძე მხოლოდ დადებითს, უკეთესს არ მიიჩნევს ისტორიაში წარმოსაჩენად. მისი აზრით, უარყოფითის ჩვენებაც საჭიროაო. მე ისე უყურებ, რომ წარსული უნდა უჩვენოს ხალხს მარტო იმისთვის კი არა, რომ წარსულში ყველა კარგი უჩვენოს და ყველა წარსული ოქროთი დაჰფეროს. იმიტომ, რომ ამ წარსულში უჩვენოს ყველა ავი და კარგი, რომ ავი თავიდამ აიცილოს, კარგს მიჰბაძოს და, რადგან უფრო ცუდია ამ წარსულში, ეცადოს ამ ცუდის ცხადათ დანახვებას, უჩვენოს თავის შიცდომილებანი და ნაციონალური (ხალხური) ნაკლებულებანი, რომ ამით ეცადოს ხალხის გასწორებას'' (ფურცელაძე, 2000: 379).

ამიტომ აქცევს დიდ ყურადღებას ანტ. ფურცელაძე ისტორიის სწორად, ობიექტურად აღწერას, ევროპაში ამ დროისათვის გავრცელებული ისტორიული კვლევის მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, რა მიზნითაც წერს ერთგვარ რეცენზიას დ. ბაქრაძის ,,საქართველოს ისტორიაზე'', რაც განხილული იქნება სტატიის ძირითად ნაწილშიც.

მეთოდები. გამოყენებული იქნება ისტორიულ-შედარებითი მეთოდები.

შედეგები და მსჯელობა. როგორც ზემოთ აღინიშნა, XIX საუკუნე, განსაკუთრებით, მისი მეორე ნახევარი, კიდევ გაძლიერებული ინტერესით ხასიათდება საქართველოს ისტორიისადმი: ,,დღის წესრიგში დადგა ,,ქართლის ცხოვრების'' როგორც ჩვენი ისტორიის უმთავრესი წყაროს, ღრმად შესწავლის, ქართველი ხალხის წარსული ცხოვრების საფუძვლიანად გაცნობის საკითხი - ბუნებრივია, ამას ქართული საისტორიო აზრის წინსვლისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა (მალაზონია, 2000: 24). თვით ილია ჭავჭავაძე იმოწმებს ისტორიკოსთა შეხედულებას, რომ ისტორიული მოთხრობა (ანუ ,,ქართლის ცხოვრება'') ერთგვარი წყაროცაა ისტორიისათვის (დ. მალაზონია). სწორედ ამ პერიოდში არქეოლოგიური მასალების შესწავლის პარალელურად დიმიტრი ბაქრაძე (1826-1890) იწყებს საქართველოს ისტორიის წერას, რომლის პირველი წიგნი ,,ისტორია საქართველოსი'' (უძველესი დროიდამ X ს. დასასრულამდე) გამოცემა, პროგრამა შეადგინა, მაგრამ ვერ მოასწრო მეორე წიგნის გამოცემა. მანამდე მან გამართა პოლემიკა (1884 წელს) პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორ ქ. პატკანოვთან, ,,რომელიც ამტკიცებდა, რომ ,,ქართლის ცხოვრება'', როგორც საისტორიო წყარო სრულიად უმნიშვნელოაო ისტორიისათვის, ქართული, სომხური, ბიზანტიური წყაროების მოშველიებით ბაქრაძემ გამანადგურებელი პასუხი გასცა ქ. პატკანოვს და დაამტკიცა მისი არგუმენტის უსუსურობა'' (ბიბლიოვიკი, თ.გ.).

როგორც ისტორიკოსი დ. მალაზონია ასკვნის ,,აბსოლუტურად სწორია განსხვავებული საკითხისადმი ბაქრაძისეული მიდგომა (მალაზონია, 2000: 26).

დ. ბაქრაძემ ,,საქართველოს ისტორიაში'' განიხილა ქართული ენის წარმოშობის საკითხებიც. როგორც მკვლევარნი ფიქრობენ, ამით ერთგვარად საფუძველი ჩაუყარა მან ქართულ წყაროთმცოდნეობასა და პალეოგრაფიას.

ილია ჭავჭავაძის მკაცრი პოლემიკური ნაშრომის, ,,ქვათა ღაღადის'', შემდგომ დ. ბაქრაძის წიგნის ერთ-ერთი პირველი რეცენზია ეკუთვნის ანტონ ფურცელაძეს ,,ისტორია საქართველოსი'' (უძველესი დროიდამ მე-X საუკ. დასასრულამდის) თხზ. დ. ბაქრაძის (,,თეატრი'', 1890 #3).

ანტონ ფურცელაძის პოლემიკურ რეცენზიაში სავსებით გამართლებულია დ. ბაქრაძის მეთოდოლოგია. სტატიის შესავალში ავტორი გამოთქვამს გულისტკივილს, რომ უყურადღებოდ დარჩა საზოგადოებისათვის დ. ბაქრაძის შესანიშნავი წიგნი: ამ წიგნის გამოცემა უნდა შეადგენდეს ჩვენს მწერლობაში მთელს ეპოხას, ,,სამწუხაროდ, ეს მეტად დიდი და სასიამოვნო ამბავი ჩვენმა ადგილობრივმა მწერლობამ გაუშვა სრულიად უყურადღებოთ (ხაზი ჩვენია- თ.გ., ქ.ბ.). ვინც არ იცის, რა ძნელიც არის ჩვენში ისტორიული თხზულების წერა, მას არ შეუძლიან რიგიანად დააფასოს ის საშინაო ღვაწლი, რომელიც ჩაღვრილია ბ. ბაქრაძის თხზულებაში. ერთი ათათ, ერთი ასათ, ჩვენგან ჩვენი ისტორიის წერა უფრო ძნელია, ვიდრე სხვა განათლებულს სახელმწიფოებში არამცთუ თვისი ქვეყნის ისტორიის წერა, თვით უცხო ხალხთა ისტორიისა'' (ფურცელაძე, 2000: 408).

მისთვის ჩვეული მანერით ანტონ ფურცელაძე ცდილობს აჩვენოს დიმიტრი ბაქრაძის დამსახურება ქვეყნის წინაშე: ,,თითქმის ორმოცი წელიწადია დ.ბ. ბაქრაძე ემსახურება უსასყიდლოთ, თვისი ხარჯით, ღამის ტეხით, თვალების ჩაწყალებით ქართულს ისტორიას, გეოგრაფიას, არხეოლოგიას და სხვა ამგვარებს. იღწვის დაუცხრომლად იღწვის შინ, გარეთ, ისე ნაწერებში, სამეცნიერო გამოცემებში და სხვ ამისთანებში და ამგვარად ემსახურება თავის ქვეყანას, თავის სამშობლოს, რჩეობს შინ უფასურათ ზარალით შრომას, ვიდრე გარეთ შრომას საფასურით. და აი. ამ მოღვაწემ მოგვცა ახლა ისტორიული თხზულება, თხზულება ,,დამჯდარი'', შევსებული, რამდენადაც კი შეიძლება შევსება ჩვენს გარემოებაში ძველი ისტორიის თხზულებისა'' (ფურცელაძე, 2000: 409). ამიტომ, გულდასმით ეცნობა რა უცხოური ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგიას, ცდილობს გაამართლოს დ. ბაქრაძის მეთოდი, უპირისპირდება რა მარი ბროსეს თეზას, მის მიერ გამოცემულ ,,ქართლის ცხოვრებაზე'' დაყრდნობით, ქართული ენის სომხური წარმომავლობის შესახებ და დაკვირვებით აცხადებს, რომ დ. ბაქრაძე გულდასმით იშველიებს, საწინააღმდეგო აზრს დასაბუთებულად იშველიებს რუმიანცევისეულ ,,ქართლის ცხოვრებასა'' და სხვა დედნებს, გარდა ამისა, მისი თქმით, ბაქრაძე ეფუძნება ევროპელ მეცნიერებს გატერიასა და დიულორიეს.

ანტ. ფურცელაძე ასევე მსჯელობს დ. ბაქრაძის წვლილზე ქართული ანბანის წარმომავლობის შესახებ. მაგრამ ჩვენი ყურადღება მაინც იმ პრინციპებზეა მიქცეული, რომელიც რეცენზიაში ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგიასთან არის დაკავშირებული.

ანტონ ფურცელაძე, ცდილობს წარმოადგინოს, რა მეთოდები არსებობდა მის თანამედროვე ისტორიოგრაფიაში: ,,სამი უმთავრესი მეთოდია ისტორიის წერისა: ერთი სამეცნიერო, რომელზედაც იჩვენებოდნენ ამ რამდენიმე საუკუნის წინეთ იტალიის მწერალნი მაკიაველნი და ვიკო, ამ ბოლო დროს ფრანცუზების მწერალი პრუდონი და სახელოვანი ინგლისეთის მეისტორიე ბოკლი; მეორე ისტორიული მეთოდი არის დოღმატიური, აქ დამწერი მოგვითხორბს ისტორიის ამბათ ... მესამე კრიტიკული. აქ მწერალს მოჰყავს ყველა საბუთები, ყველა დოკუმენტები, რომლებზედაც ის ამყარებს თავის თხზულებას, აქვე, თქვენ თვალწინ ჰსინჯავთ ამ საბუთებს, ამოწმებთ ერთმანეთთან, გარემოებასთან, იმ წყობილებასთან, რომელიც არსებობდა იმ დროს, რომელსაც დოკუმენტები ეკუთვნიან, და ამგვარი კრიტიკით გამოკვლეულ აზრს გადმოსცემს თავის ნაწერში'' (ფურცელაძე, 2000: 409).

ანტონ ფურცელაძე ამ მეთოდებიდან განსაკუთრებით გამოარჩევს ბოკლის მეთოდს, მაგრამ აქვს დანანებით შენიშნავს, რომ ,,სამეცნიერო ისტორიის წერას, რომელსაც შეუდგა ბოკლი და რომლისაც შესრულება არ დააცალა უდროვოთ მოსწრებულმა სიკვდილმა,

არამცთუ ჩვენში, ევროპაშიაც, შემდგომ ბოკლისა ვერავინ შეჰბედა'' (ფურცელაძე, 2000: 410).

ანტონი არკვევს, რომელი მეთოდი უნდა აერჩია დ. ბაქრაძის კრიტიკული თუ დოღმატური და აქვს შენიშნავს, რომ კრიტიკული ისტორია ,,უბრალო მკითხველს'' საშუალებას აძლევს თვითონვე დააკვირდეს, შეამოწმოს, შეაჯეროს და ასე. გამოთქვას საკუთარი აზრი.

ბაქრაძემ ანტ. ფურცელაძის აზრით, ,,არჩია დაწერა ისტორიისა კრიტიკულს მეთოდზედ და ამით ჩაუყარა მკვიდრი საფუძველი ქართულს ისტორიულს მწერლობას''(ხაზი ჩვენია - თ.გ., ქ.ბ.) (ფურცელაძე, 2000: 410).

აქვე რეცენზენტს გამოაქვს საკუთარი აზრი, რომ კრიტიკულს შემდეგ რომ მოაყოლოს დოღმატური (რომელიც ადვილი წასაკითხია, ,,მაშინ შემოწმება დოღმატური ისტორიისა ადვილი იქნება, რაკი მას მიუძღვის კრიტიკული ისტორიაო'' (ფურცელაძე, 2000:410).

ჰენრი ტომას ბოკლის (1821-1862) თაყვანისმცემელი ანტონ ფურცელაძე აშკარად ,,პოზიტივისტური'' მეთოდოლოგიის მომხრეა და, სწორედ აქედან აფასებს დ. ბაქრაძის ნაშრომს. თუმცა საკუთარ შეხედულებასაც ავითარებს წინამდებარე რეცენზიაში. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, წერს თავის ისტორიულ მოთხრობას თუ ესკიზს, თუმცა თავად ანტონი ნაკლებად იყენებს წყაროებს და უფრო მწერლურ ფანტაზიას ავითარებს, რაც განსაკუთრებით მოჩანს მისი გმირების (დავით ასლანიშვილის, ხერხეულიძის და სხვ.) დახასიათებისას, თავად ანტ. ფურცელაძის სტილი საკმაოდ დაუხვეწავია, რასაც ხშირად საყვედურობდნენ როგორც მისი თანამედროვე, ისე XX-XXI საუკუნეების ისტორიკოსები თუ კრიტიკოსები.

დასკვნა. ანტონ ფურცელაძემ, როგორც მწერალმა და პუბლიცისტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ისტორიის, როგორც მეცნიერების, სრულყოფის საკითხებს საქართველოში. ევროპული პოზიტივისტური მეთოდოლოგიის გაცნობა (რასაც, სავარაუდოდ, რუსული თარგმანებიდან უნდა გასცნობოდა) და პოპულარიზაცია განსაკუთრებით გამოიხატა მის რეცენზიაში დიმიტრი ბაქრაძის ნაშრომზე, რაც ცხადყოფს ანტონის ერუდიციასა და, სამოციანელთა თუ უცხოელი ქართველოლოგიური სკოლის პრინციპებიდან გამომდინარე, ქართული საზოგადოებრიობის კიდევ ერთი წარმომადგენლის ზრუნვა-დაფასებას ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებისა და სრულყოფისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

ბაქრაძე, დ. (1889). *ისტორია საქართველოსი (უძველესი დროიდამ მე-X საუკ. დასასრულამდე).* თხზ. დ.ზ. ბაქრაძისა, სტამბა ვ. გ. მესხისა, ტფილისი.

ბიბლიოვიკი. (თ.გ.). *ბაქრაძე დიმიტრი.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/ბაქრაძე_დიმიტრი

მალაზონია, დ. (2000). დიმიტრი ბაქრაძე და ,,ქართლის ცხოვრება''. *კლიო.* #8, 2000.

ნადირაძე, ქ. (2012). *ქართული ისტორიოგრაფია.* თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი".

ფურცელაძე, ა. (2000). *პუბლიცისტური წერილები.* თბილისი.

ფურცელაძე, ა. (1888). *დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი. ისტორიული მოთხრობა.*

ჩხიკვაძე, მ. (2006). *ანტონ ფურცელაძის პუბლიცისტიკა.* დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

REFERENCES

bakradze, d. (1889). *ist'oria sakartvelosi (udzvelesi droidam me-X sauk'. dasasrulamde) [History of Georgia (from Ancient Times to the End of the 10th Century)]*. Works by D. Z. Bakradze, Printing House of V. G. Meskhi. Tiflis.

bibliovik'i [Biblioviki]. (n.d.). *bakradze dimit'ri [Bakradze Dimitri]*. Retrieved from https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/ბაქრაძე_დიმიტრი

malazonia, d. (2000). dimit'ri bakradze da ,,kartlis tskhovreba'' [Dimitri Bakradze and " The Georgian Chronicles"]. *k'lio [Klio]*. #8, 2000.

nadiradze, k. (2012). *kartuli ist'oriograpia [Georgian Historiography]*. Tbilisi: Publishing House „Universali".

purtseladze, a. (2000). *p'ublitsist'uri ts'erilebi [Publicistic Letters]*. Tbilisi.

purtseladze, a. (1888). *davit aslanishvili-jandieri [David Aslanishvili-Jandieri]. Historical novel*.

chkhik'vadze, m. (2006). *ant'on purtseladzis p'ublitsist'ik'a [Anton Purtseladze's Publicistics]*. Dissertation for the Degree of Candidate of Philological Sciences.